ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ქ. თბილისის
მინიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური

KA010180571348915

№25/32699

19 / ოქტომბერი / **2015** წ.

შპს სვეტი ჯგუფი.
მის: თბილისი, ფოთის ქ. #14

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა განმეორებით შეისწავლა თქვენს მიერ წარმოდგენილი 12.10.2015 წლის #48904/07 წერილი და დოკუმენტები, რომლითაც ითხოვთ მშენებლობის განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავის მოჭრის ნებართვას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში შპს „სვეტი ჯგუფი"ს საკუთრებაში არსებულ (ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე საკ/კოდ 01.14.05.008.229) მიწის ნაკვეთზე, სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის/წერილობითი თანხმობის წარმოდგენის შემთხვევაში, გასცემს მიწის ნაკვეთზე არსებული ერთი ძირი ალვის ხის (დიამეტრი 20სმ) მოჭრის ნებართვას „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად.

დამატებით გაცნობებთ, რომ „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 თავის მე-6 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავების ჭრის ნებართვის მისაღებად დაგეკისრებათ ბიომრავალფეროვნებაზე მიყენებული ზიანის საკომპენსაციო აღდგენითი ღირებულების გადასახადი, რომელიც შეადგენს 320 (სამასოცი) ლარს.

ქ. თბილისის მინიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — კახა ჩიქვინიძე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ქ. თბილისის
მინიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო
სამსახური

KA010188900008315

№25/25400

07 / ოქტომბერი / **2015** წ.

შპს სვეტი ჯგუფი.

საქართველო, ქ. თბილისის, ვაკე-საბურთალოს
რაიონში, წუცუბიძის ქ., N 217, ბ. 55

თქვენი 28.09.2015 წლის #34263/07 განცხადების პასუხად, სადაც ითხოვთ შპს „სვეტი ჯგუფი"ს კუთვნილ ტერიტორიაზე (ჯიქიას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია საკ/კოდ 01.14.05.008.229) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების მიზნით მწვანე ნარგავების გადარგვას გაცნობებთ, რომ ააიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის"ს საექსპერტო დასკვნის თანახმად, სამსახური თანახმაა ერთი ძირი ძეძვის ბუჩქი გადაირგოს მიმდებარე ტერიტორიაზე აგროტექნიკური ღონისძიებების სრული დაცვით.

ასევე გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილების მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ამოღება-გადარგვას ექვემდებარება ფოთლოვანი სახეობები ღეროს მაქსიმალური დიამეტრით 18სმ. თქვენს მიერ წარმოდგენილი ალვის ხე (დიამეტრი 20სმ) არ ექვემდებარება გადარგვას, ხოლო მისი მოჭრა ზოგადი მდგომარეობიდან გამომდინარე სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია. ხოლო რაც შეეხება ჭერამს, 2014 წლის 30 აპრილის საქართველოს კანონის „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" მე-2 თავის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი მცენარეების მოჭრა-გადარგვა ნებართვას არ საჭიროებს.

ქ. თბილისის მინიციპალიტეტის მერიის
ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის
უფროსი

ბიძინა გიორგობიანი